პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურის და სპორტის საქმეთა კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Комитета по делам физической культуры и спорта при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского Совета профсоюзов

გამოდის კვირაში ერთხელ

№ 23 (629) ოთხშაბათი, 18 მარტი, 1953 წ. ფასი 30 კაპ.

სამშობლოს შემდგომი განმტკიცებისათვის, ხალხთა ბედნიერებისათვის!

სულ რამდენიმე დღე გავიდა მას შემდეგ, რაც დავუშვით საბჭოთა ხალხების და მთელი პროგრესული კაცობრიობის ჩრდილოეთი, ჩვენი მამა და მასწავლებელი დიდი ხალხის, საბჭოთა ხალხის ღირსეული ვაჟი და გლეხიან ანდრეზს ეს უდიდესი დანაკლისი. ჩვენ ორი თვითეულ საშობლოს უკეთ ეუთანეთ გამართულ საბჭოთა ხალხის პატრიოტების დიდი დედა, რომ უფრო მტკივნეულ დარტანებებად და შემკვიდრეობად ზეთისა ნაწერობი კომუნისტური პარტიისა და მთავრობის გარშემო, ამხანაგების ზრუნვის გამარჯვებებს, მკერდით დაიცავენ ოტტობის მოსპობის და განუხრელად შეასრულებენ დიდი ბელადის ნინასწარმეტყველებას — თავდადებით ამხარულებენ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის.

საბჭოთა ხალხს იცის, რომ ლენინის და სტალინის მიერ დაწყებული დიდად ხანგრძლივი და ნაყოფიერი ბრძოლა ბედნიერი ცხოვრების ასაშენებლად, ბრძოლა ეკონომიური და პოლიტიკური ორგანიზაციის გასაძლიერებლად, ბრძოლა ადამიანთა ცნობიერების სოციალისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის, ბრძოლა ხალხის ინტერნაციონალური ერთიანობის განმტკიცებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს IV სესია

(დასასრული).

ჩვენს ქვეყანაში კომენიზმის გამარჯვებისათვის დაუცხრომელ მებრძოლს.

ყველანი დარწმუნებული ვართ, რომ ამხანაგი კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვი ღირსეულად შეასრულებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობას საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ.

სესია იღებს გადაწყვეტილებას: სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო განთავისუფლეს ამხ. ნ. მ. შვერნიკი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეობიდან და არჩეულ იქნა იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულ იქნა ამხ. კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვი.

დეპუტატები და სტუმრები ფეხზე დგებიან და ხანგრძლივი ტაშით მიესალმებიან ამხ. კ. ე. ვოროშილოვს.

შემდეგ სესია შეუდგა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დანიშვნის საკითხის განხილვას.

სიტყვა ეძლევა დეპუტატ ჯ. ვ. ბერიას.

ამხ. ჯ. ვ. ბერიას გამოჩენას ტრიბუნაზე მეეხარ, ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოკავშირეთა კომ. ამხ. ჯ. ვ. ბერიას სესიის განსახილველად შეაქვს წინადადება — დაინიშნოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ამხ. გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვი და დაევალოს ამხანაგ მალენკოვს წარმოეგზავნოს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს წინადადებანი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობის შესახებ.

დეპუტატები და სტუმრები ფეხზე დგებიან. ყრილობის დიდი სასახლის დარბაზში გაისმის მქუხარე, ხანგრძლივი ტაში ამხ. გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვის ახალგაზრდა, ენერგიული და ცოდნაში ერთგული მებრძოლი,

— ჩვენი პარტია, მეშვები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი, — ამბობს ამხ. ჯ. ვ. ბერია, — კარგად იცნობენ და დიდ პატივს სცემენ ამხანაგ მალენკოვს, რომელიც ლენინის ნიჭიერ მოწაფეს, სტალინის ერთგულ თანამებრძოლს.

ამხანაგო დეპუტატებო! საბჭოთა კავშირის მთავრობის წინაშე, დასახული დიდი და პასუხსაგები ამოცანები, რომელიც ისეთი საერთაშორისო ვითარების პირობებში ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკისადმი ხელმძღვანელობის დარგში, ისე ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის საბჭოთა კავშირის ხალხების გიგანტური, გმირული შრომისადმი ხელმძღვანელობის დარგში.

ვფიქრობ, გამოვხატავ დეპუტატთა საერთო აზრს, თუ მტკიცე რწმენას გამოვთქვამ, რომ საბჭოთა მთავრობა, ამხანაგ მალენკოვის მეთაურობით ისე უხელმძღვანელებს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის შენებლობის მთელ საქმეს, როგორც გასწავლიდნენ ლენინი და სტალინი (შეხვაო, ხანგრძლივი ტაში), თავდაუზოგავი ერთგულებით მეშსახურებას ჩვენი ხალხის ინტერესებს.

ნება მიმეთქვა რწმენა გამოვთქვა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო ერთსულოვნად დაამტკიცებს გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვის დანიშვნას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ.

ოვაციებში მყოფნი ფეხზე დგებიან, გაისმის შეძახილები, ტაში.

სესია ერთხმად იღებს გადაწყვეტილებას: დაინიშნოს გიორგი მაქსიმილიანეს-ძე მალენკოვი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ. დეპუტატები და სტუმრები ფეხზე დგებიან და მქუხარე ტაშით მიესალმებიან დიდი სტალინის ერთგულ თანამებრძოლს, გამოხატავენ რა ამით უსაზღვრო ნდობას საბჭოთა მთავრობისადმი, ურყევ რწმენას, რომ მკაცრად და თანმიმდევრულად იქნება განხორციელებული პარტიის მიერ შემუშავებული სტალინური საგარეო და საშინაო პოლიტიკა, რომელიც შეუსაბამება ჩვენი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს.

სესია იხილავს საკითხს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობის და სსრ კავშირის სამინისტროების გარდაქმნის შესახებ. სიტყვა ეძლევა ამხ. გ. მ. მალენკოვს.

დეპუტატები და სტუმრები ფეხზე დგებიან. დარბაზში გაისმის მქუხარე, ხანგრძლივი ტაში.

დიდი ყურადღებით უსმენენ დამსწრენი ამხ. გ. მ. მალენკოვის სიტყვას. იგი მაღლობას მოახსენებს დეპუტატებს დიდი ნდობისა და მაღალი პატივისათვის. რაც მას დასდეს, დაავალეს და წარმოადგინოს უმაღლესი საბჭოს განსახილველად მთავრობის — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობა.

ამხ. მალენკოვი მოაგონებს დეპუტატებს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გაერთიანებულმა სხდომამ მიიღო მთელი რიგი ღონისძიებებისა, რომელთა მიღებასა და დამტკიცებას შესაძლებლად და საჭიროდ მიიჩნევს უმაღლესი საბჭო — ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო.

— ამგვარად არსებული სამინისტროთა გამსხვილების, სახალხო მეურნეობის, კულტურის, მხარდაჭერის მონათესავე დარგებისადმი ხელმძღვანელობის ერთ სამინისტროდ გაერთიანების ღონისძიებანი, — ამბობს ამხ. მალენკოვი, — დღეს კი არ მომწიფდა. ისინი უკვე დიდი ხანია, ამხანაგ სტალინს სიცოცხლეში. მასთან ერთად წამადებია ჩვენს პარტიასა და მთავრობაში. და ახლა, იმ მძიმე დანაკლისთან დაკავშირებით, რაც ჩვენმა ქვეყანამ განიცადა, ჩვენ მხილოდ დავიჩქარეთ სახელმწიფო და სამეურნეო საქმიანობისადმი ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესების მოწმენიფებულ ორგანიზაციულ ღონისძიებათა განხორციელება.

ამხ. მალენკოვი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჩვენს ქვეყანას ყოველთვის შესაძლებლობა აქვს წარმატებული განსახორციელის სამინისტროების გამსხვილება, რადგან მას ჰყავს მწიფენელოვნად გაზრდილი კადრები, რომელმაც დიდი გამოცდილება შეიძინეს და შეუძლიათ სათავეში ჩაუდგნენ გამხსვილებული სამინისტროების ხელმძღვანელობას.

უმაღლესი საბჭოს განსახილველად ამხ. მალენკოვს შეაქვს შემდეგი წინადადებანი:

გაერთიანდეს სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო. სსრ კავშირის სამინისტრო ერთ სამინისტროდ — სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროდ; სსრ კავშირის სამინისტრო გაერთიანდეს საზღვაო სამინისტრო და საზღვარ-დაცვის სამინისტრო ორ სამინისტრო — სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროდ; სსრ კავშირის საავიაციო, საქიმიის სამინისტროები ორ დარგობრივ სამინისტროდ — სსრ კავშირის საავიაციო და საქიმიის სამრეწველო სამინისტროდ; სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სისტემაში გაერთიანდეს სამი სამინისტრო — სსრ კავშირის სატანკო მრეწველობის სამინისტრო, ტრაქტორული და სამხედრო-მებრძოლი მანქანათმშენებლობის სამინისტრო ორ სამინისტროდ: სატანკო მრეწველობის სამინისტრო და ტრაქტორული და სამხედრო-მებრძოლი მანქანათმშენებლობის სამინისტრო; სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სისტემაში გაერთიანდეს სამი სამინისტრო — სსრ კავშირის მანქანათმშენებლობის სამინისტრო, სსრ კავშირის ტრაქტორული და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრო და სსრ კავშირის მანქანათმშენებლობის სამინისტრო ორ სამინისტროდ — სსრ კავშირის მანქანათმშენებლობის სამინისტრო; სსრ კავშირის მანქანათმშენებლობის სამინისტრო — სსრ კავშირის ტრაქტორული და ელექტრომრეწველობის სამინისტრო; ელექტრომრეწველობის და კავშირგაბმულობის საშუალებათა მრეწველობის სამინისტროები — ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის სამინისტროდ; შეიარაღების და საავიაციო მრეწველობის სამინისტროები — სსრ კავშირის თავდაცვის მრეწველობის სამინისტროდ; სატყეო მრეწველობის სამინისტრო, ქაღალდისა და ხის გადამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროები — სსრ კავშირის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროდ; მძიმე ინდუსტრიის სახარჯთო შენებლობისა და მანქანათმშენებლობის სახარჯთო შენებლობის სამინისტროები — სსრ კავშირის შენებლობის სამინისტროდ; საზღვაო ფლოტის, სამდინარო ფლოტის სამინისტროები და ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარი სამმართველო — საზღვაო და სამდინარო ფლოტის სამინისტროდ.

ამხ. მალენკოვს წინადადება შეაქვს გაუქმდეს გეოლოგიის სამინისტრო და მისი ფუნქციები გადაეცეს შესაბამისად მეტალურგიული მრეწველობის, ქიმანმშირის, ნავთის მრეწველობის სამინისტროებსა და სხვა სამინისტროებს, რომელთა გამგეობებშია მომპოვებული მრეწველობა. გაუქმდეს სათქმობილო ტრანსპორტის სამინისტრო და მისი ფუნქციები გადაეცეს გზათა სამინისტრო, შეიერთდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სასრანთალი და სრმეწველო საქონლის მომარაგების სახელმწიფო კომიტეტი სსრ კავშირის სახელმწიფო სავაჭრო კომიტეტს.

შემდეგ ამხ. მალენკოვს, იმ დავალების შესაბამისად, რომელიც მას მიეცა როგორც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, უმაღლესი საბჭოს განსახილველად შეაქვს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობა.

დეპუტატები ხანგრძლივი ტაშით იწონებენ ამხ. გ. მ. მალენკოვის მიერ წარდგენილ მთავრობის შემადგენლობას.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად მინისტრთა საბჭოს შემადგენლობის წარდგენის შემდეგ ამხ. მალენკოვი აცნობებს, რომ მთავრობა მთელ თავის საქმიანობაში ზუსტად გაახორციელებს პარტიის მიერ შემუშავებულ პოლიტიკას საგარეო და საშინაო საქმეებში. ამხ. მალენკოვი ტაშის გრიალში აცხადებს, რომ საბჭოთა მთავრობისათვის კანონია მოვალეობა — შეუნელებლად ზრუნავდეს ხალხის კეთილდღეობისათვის, მის მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილებისათვის, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს შემდგომი განმტკიცებისათვის, რადიოინფორმაციის კომიტეტი, პოლიგრაფიის, გამომცემლობებისა და წიგნის ვაჭრობის მთავარი სამმართველო და შრომითი რეზერვების სამინისტრო — სსრ კავშირის კულტურის სამინისტროდ; მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო, კვების მრეწველობის სამინისტრო, ხორცის და ძროხა მრეწველობის სამინისტრო — სსრ კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობის სამინისტროდ; შავი მეტალურგიის სამინისტრო და ფერადი მეტალურგიის სამინისტრო — სსრ კავშირის მეტალურგიული მრეწველობის სამინისტროდ; საავტომობილო და საბრაქტორო მრეწველობის, მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობისა და დიზელთმშენებლობის სამინისტროები — სსრ კავშირის მანქანათმშენებლობის სამინისტროდ; სსრ კავშირის მანქანათმშენებლობის სამინისტრო — სსრ კავშირის ტრანსპორტის და მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტროდ; ელექტროსადგურების, ელექტრომრეწველობისა და კავშირგაბმულობის საშუალებათა მრეწველობის სამინისტროები — ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის სამინისტროდ; შეიარაღების და საავიაციო მრეწველობის სამინისტროები — სსრ კავშირის თავდაცვის მრეწველობის სამინისტროდ; სატყეო მრეწველობის სამინისტრო, ქაღალდისა და ხის გადამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროები — სსრ კავშირის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროდ; მძიმე ინდუსტრიის სახარჯთო შენებლობისა და მანქანათმშენებლობის სახარჯთო შენებლობის სამინისტროები — სსრ კავშირის შენებლობის სამინისტროდ; საზღვაო ფლოტის, სამდინარო ფლოტის სამინისტროები და ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარი სამმართველო — საზღვაო და სამდინარო ფლოტის სამინისტროდ.

ამხ. მალენკოვს წინადადება შეაქვს გაუქმდეს გეოლოგიის სამინისტრო და მისი ფუნქციები გადაეცეს შესაბამისად მეტალურგიული მრეწველობის, ქიმანმშირის, ნავთის მრეწველობის სამინისტროებსა და სხვა სამინისტროებს, რომელთა გამგეობებშია მომპოვებული მრეწველობა. გაუქმდეს სათქმობილო ტრანსპორტის სამინისტრო და მისი ფუნქციები გადაეცეს გზათა სამინისტროს

კანონები და დადგენილებანი, მიღებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ

ამხ. ნ. მ. შვერნიკის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობისაგან განთავისუფლებისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად მისი არჩევის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. განთავისუფლდეს ამხ. ნიკოლოზ მიხეილის-ძე **შვერნიკი** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობისაგან მისი სხვა საშუშაოზე გადასვლის გამო.

2. არჩეულ იქნას ამხ. ნიკოლოზ მიხეილის-ძე **შვერნიკი** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1953 წლის 15 მარტი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ამხ. კ. ე. ვოროშილოვის არჩევის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ ამხ. კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მ. ტარასოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1953 წლის 15 მარტი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ამხ. გ. მ. მალენკოვის დანიშვნის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დანიშნოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ამხ. გიორგი მაქსიმილიანეს-ძე **მალენკოვი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1953 წლის 15 მარტი.

კანონი

სსრ კავშირის სამინისტროების გაძლიერების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. გაერთიანდეს სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო ერთ სამინისტროდ — სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროდ.

2. გაერთიანდეს სსრ კავშირის სამხედრო სამინისტრო და სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო სამინისტრო ერთ სამინისტროდ — სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროდ.

3. გაერთიანდეს სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტრო და სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრო ერთ სამინისტროდ — სსრ კავშირის საშინაო და საგარეო ვაჭრობის სამინისტროდ.

4. გაერთიანდეს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსრ კავშირის მებამბეობის სამინისტრო, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სამინისტრო, სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტრო და სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის სამინისტრო ერთ სამინისტროდ — სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროდ.

5. გაერთიანდეს სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტრო, სსრ კავშირის ფილმტექნიკურადის სამინისტრო, ხელოვნების საქმეთა კომიტეტი, რადიოინფორმაციის კომიტეტი, პოლიგრაფიის, გამომცემლობებისა და წიგნის ვაჭრობის მთავარი სამმართველო და სსრ კავშირის შრომითი რეზერვების სამინისტრო ერთ სამინისტროდ — სსრ კავშირის კულტურის სამინისტროდ.

6. გაერთიანდეს სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო, სსრ კავშირის ქვების მრეწველობის სამინისტრო, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო და სსრ კავშირის თევზის მრეწველობის სამინისტრო ერთ სამინისტროდ — სსრ კავშირის მსუბუქი და ქვების მრეწველობის სამინისტროდ.

7. გაერთიანდეს სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტრო და სსრ კავშირის ფერადი მეტალურგიის სამინისტრო ერთ სამინისტროდ — სსრ კავშირის მეტალურგიული მრეწველობის სამინისტროდ.

8. გაერთიანდეს სსრ კავშირის საავტომობილო და საბრაქტორო მრეწველობის სამინისტრო, სსრ კავშირის მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის სამინისტრო, სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრო და სსრ კავშირის დაზვათმშენებლობის სამინისტრო ერთ სამინისტროდ — სსრ კავშირის მანქანათმშენებლობის სამინისტროდ.

9. გაერთიანდეს სსრ კავშირის სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტრო, სსრ კავშირის გემთმშენებლობის მრეწველობის სამინისტრო, სსრ კავშირის მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტრო და სსრ კავშირის სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის სამინისტრო ერთ სამინისტროდ — სსრ კავშირის საბრანსპორტო და მძიმე მანქანათმშენებლობის სამინისტროდ.

10. გაერთიანდეს სსრ კავშირის ელექტროსადგურების სამინისტრო, სსრ კავშირის ელექტრომრეწველობის სამინისტრო და სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამუალებათა მრეწველობის სამინისტრო ერთ სამინისტროდ — სსრ კავშირის ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის სამინისტროდ.

11. გაერთიანდეს სსრ კავშირის შეიარაღების სამინისტრო და სსრ კავშირის საავიაციო მრეწველობის სამინისტრო ერთ სამინისტროდ — სსრ კავშირის თავდაცვის მრეწველობის სამინისტროდ.

12. გაერთიანდეს სსრ კავშირის სატყეო მრეწველობის სამინისტრო და სსრ კავშირის ქაღალდისა და ხისგადამუშავებელი მრეწველობის სამინისტრო ერთ სამინისტროდ — სსრ კავშირის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროდ.

13. გაერთიანდეს სსრ კავშირის მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის სამინისტრო და სსრ კავშირის მანქანათმშენებლობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტრო ერთ სამინისტროდ — სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროდ.

14. გაერთიანდეს სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტრო, სსრ კავშირის სამდინარო ფლოტის სამინისტრო და ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარი სამმართველო ერთ სამინისტროდ — სსრ კავშირის საზღვაო და სამდინარო ფლოტის სამინისტროდ.

15. გაუქმდეს სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტრო და მისი ფუნქციები გადაეცეს შესაბამისად სსრ კავშირის მეტალურგიული მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის ნავთის მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს და სხვა სამინისტროებს, რომელთა გამგეობებშიც არის მომპოვებელი მრეწველობა.

16. გაუქმდეს სსრ კავშირის საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო და მისი ფუნქციები გადაეცეს სსრ კავშირის ვაჭრობა სამინისტროს.

17. შეუერთდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სასურსაათო და სამრეწველო საქონლის მომარაგების სახელმწიფო კომიტეტი სსრ კავშირის სახელმწიფო სააგების კომიტეტს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1953 წლის 15 მარტი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის მთავრობა — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე — გიორგი მაქსიმილიანეს-ძე **მალენკოვი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პირველი მოადგილე და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრი — ლავრენტი პავლეს-ძე **ბერია.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და სსრ კავშირის საგარო საქმეთა მინისტრი — ვიაჩესლავ მიხეილის-ძე **მოლოტოვი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი — საბჭოთა კავშირის მარშალი ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე **ბულგანინი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე — ლაზარე მოსეს-ძე **კაგანოვიჩი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და სსრ კავშირის სანაფთო და საგარეო ვაჭრობის მინისტრი — ანასტას ივანეს-ძე **მიქოიანი.**

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა მინისტრი — ალექსი ივანეს-ძე **კოზლოვი.**

სსრ კავშირის კულტურის მინისტრი — პანტელეიმონ კონდრატეს-ძე **პონომარენკო.**

სსრ კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობის მინისტრი — ალექსი ნიკოლოზის-ძე **კოსიგინი.**

სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის მინისტრი — ალექსანდრე თევდორეს-ძე **ზასიადკო.**

სსრ კავშირის ნავთის მრეწველობის მინისტრი — ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძე **ბაიბაკოვი.**

სსრ კავშირის მეტალურგიული მრეწველობის მინისტრი — ივანე თევდორეს-ძე **თევოსიანი.**

სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის მინისტრი — სერგი მიხეილის-ძე **ტიხომიროვი.**

სსრ კავშირის სატრანსპორტო და მძიმე მანქანათმშენებლობის მინისტრი — ვიაჩესლავ ალექსანდრეს-ძე **მალიშევი.**

სსრ კავშირის ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის მინისტრი — მიხეილ გიორგის-ძე **პერვუხინი.**

სსრ კავშირის თავდაცვის მრეწველობის მინისტრი — დიმიტრი თევდორეს-ძე **უსტინოვი.**

სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრი — პაველ ალექსანდრეს-ძე **ბუდნი.**

სსრ კავშირის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის მინისტრი — გიორგი მიხეილის-ძე **ორლოვი.**

სსრ კავშირის მშენებლობის მინისტრი — ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე **დიგაი.**

სსრ კავშირის გზათა მინისტრი — ბორის პავლეს-ძე **ბეშჩევი.**

სსრ კავშირის კავშირგაბმულობის მინისტრი — ნიკოლოზ დემიანეს-ძე **პეტრუცევი.**

სსრ კავშირის საზღვაო და სამდინარო ფლოტის მინისტრი — ზოსიმე ალექსის-ძე **შაშოკი.**

სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრი — არსენ გრიგორლის-ძე **ზვერევი.**

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი — ანდრია თევდორეს-ძე **ტრუბნიკოვი.**

სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრი — კონსტანტინე პეტრეს-ძე **გორშენინი.**

სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის მინისტრი — ვსევოლოდ ნიკოლოზის-ძე **მერკულოვი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე — გრიგოლ პეტრეს-ძე **კოსიგინკო.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე — კონსტანტინე მიხეილის-ძე **სოკოლოვი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1953 წლის 15 მარტი.

კანონები და დადგენილებანი მიღებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ

ამხ. ა. თ. გორკინის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

განთავისუფლდეს ამხ. ალექსანდრე თევდორეს-ძე გორკინი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობისაგან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1953 წლის 15 მარტი.

კანონი

სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 70, 77 და 78 მუხლებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

„სსრ კავშირის სამინისტროების გარდაქმნის შესახებ“ კანონის შესაბამისად სსრ კავშირის კონსტიტუციის 70, 77 და 78 მუხლებში შეტანილ ცვლილებები და დამატებები და ეს მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 70. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო ქმნის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემდეგი შემადგენლობით:

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე;
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეები;
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები;
სსრ კავშირის მინისტრები;
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე;
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

„მუხლი 77. საერთო-საკავშირო სამინისტროებს ეკუთვნიან სამინისტროები:

ქვანახშირის მრეწველობისა;
ნავთის მრეწველობისა;
მეტალურგიული მრეწველობისა;
ქიმიური მრეწველობისა;
მანქანათმშენებლობისა;
საკრანსპორტო და მძიმე მანქანათმშენებლობისა;
ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობისა;
თაოდაცვის მრეწველობისა;
მშენებლობისა;
გზათა;
კავშირგაბმულობისა;
საზღვაო და სამდინარო ფლოტისა“.

„მუხლი 78. საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროებს ეკუთვნიან სამინისტროები:

შინაგან საქმეთა;
საგარეო საქმეთა;
თაოდაცვისა;
საშინაო და საგარეო ვაჭრობისა;
სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა;
კულტურისა;
მსუბუქი და კვების მრეწველობისა;
საშენ მასალათა მრეწველობისა;
სატყეო და ქაღალდის მრეწველობისა;
ფინანსთა;
ჯანმრთელობის დაცვისა;
იუსტიციისა;
სახელმწიფო კონტროლისა“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1953 წლის 15 მარტი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნად ამხ. ნ. მ. პეგოვის არჩევის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

არჩეულ იქნას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნად ამხ. ნიკოლოზ მიხეილის-ძე პეგოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1953 წლის 15 მარტი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან ამხ. ვ. ვ. კუზნეცოვის განთავისუფლების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

განთავისუფლდეს ამხ. ვასილი ვასილის-ძე კუზნეცოვი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილედ მისი დანიშვნის გამო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1953 წლის 15 მარტი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად ამხ. ა. ა. ანდრეევის არჩევის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

არჩეულ იქნას ამხ. ანდრია ანდრიას-ძე ანდრეევი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1953 წლის 15 მარტი

სსრ კავშირის კონსტიტუციის 70, 77 და 78 მუხლებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის ამხ. ნ. მ. პეგოვის მოხსენება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე

ამხანაგო დეპუტატებო!

სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ სსრ კავშირის მთავრობის შემადგენლობაში დაამტკიცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეები. ამ გადაწყვეტილებიდან გამომდინარეობს იმის საჭიროება, რომ შესაბამისი ცვლილებები შევიტანოთ სსრ კავშირის კონსტიტუციის 70 მუხლში, რომელიც განსაზღვრავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობას. გარდა ამისა, საჭიროა ამ მუხლში შეტანილ იქნას ცვლილებები, დაკავშირებული ზოგიერთი კომიტეტის გაუქმებასთან, რომელთა თავმჯდომარეები შედიოდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში.

ამის შესაბამისად წინადადება შემომაქვს სსრ კავშირის კონსტიტუციის 70 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 70. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო ქმნის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემდეგი შემადგენლობით:

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე;
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილეები;
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები;
სსრ კავშირის მინისტრები;
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე;
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე“.

საჭიროა აგრეთვე შეტანილ იქნას შესაბამისი ცვლილებები და დამატებები სსრ კავშირის კონსტიტუციის 77 და 78 მუხლებში, ამასთან გათვალისწინებულ იქნას ამ მუხლებში სახელმწიფო მმართველობის ორგანოების სისტემაში მომხდარი ცვლილებები. რომლებიც გამომდინარეობენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ამ სესიის მიერ მიღებული კანონიდან „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდაქმნის შესახებ“.

ამასთან დაკავშირებით წინადადება შემომაქვს სსრ კავშირის კონსტიტუციის 77 მუხლი, რომელიც შეიცავს სსრ კავშირის საერთო-საკავშირო სამინისტროების ჩამოთვლას, ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 77. საერთო-საკავშირო სამინისტროებს ეკუთვნიან სამინისტროები:

ქვანახშირის მრეწველობისა;
ნავთის მრეწველობისა;
მეტალურგიული მრეწველობისა;
ქიმიური მრეწველობისა;
მანქანათმშენებლობისა;
საკრანსპორტო და მძიმე მანქანათმშენებლობისა;
ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობისა;
თაოდაცვის მრეწველობისა;
მშენებლობისა;
გზათა;
კავშირგაბმულობისა;
საზღვაო და სამდინარო ფლოტისა“.

წინადადებაა სსრ კავშირის კონსტიტუციის 78 მუხლი, რომელშიც ჩამოთვლილია სსრ კავშირის საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები, ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 78. საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროებს ეკუთვნიან სამინისტროები:

შინაგან საქმეთა;
საგარეო საქმეთა;
თაოდაცვისა;
საშინაო და საგარეო ვაჭრობისა;
სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა;
კულტურისა;
მსუბუქი და კვების მრეწველობისა;
საშენ მასალათა მრეწველობისა;
სატყეო და ქაღალდის მრეწველობისა;
ფინანსთა;
ჯანმრთელობის დაცვისა;
იუსტიციისა;
სახელმწიფო კონტროლისა“.

ზემოაღნიშნულის გამო, წინადადება შემომაქვს მიღებულ იქნას კანონი „სსრ კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 70, 77 და 78 მუხლებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“. რათა ამჟამად სსრ კავშირის კონსტიტუციის ეს მუხლები შეესაბამებოდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შემადგენლობის შესახებ“ და „სსრ კავშირის სამინისტროების გარდაქმნის შესახებ“.

რედაქტორი ი. უგულავა

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელისაბედის ბაღის ქ. № 12, დეპუტატების თბილისის, „ლენო“, ტელეფონები: რედაქტორისა — 3-64-92, 3/მგ მდივნისა და განყოფილებების — 3-99-34, მორიგისა და გამომწვევის — 3-33-25.

ტირაჟი 90970

ტ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.